

შუმერული ცივილიზაცია კრიმატის ცვლილებამ გაანადგურა

✘ ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ძველი უმსხვირესი შუმერული ცივილიზაციის გაქრობის მიზეზი კრიმატის ცვლილებაა.

მანამდე სპეციალისტებს რამოდენიმე ვერსია ჰქონდათ – ზოგს მიაჩნდა, რომ შუმერები მესოპოტამიის დიდგვაროვნებმა გაანადგურეს, რომლებიც ხერისუფლების ცენტრალიზაციით იყვნენ უკმაყოფილოები. ზოგი მეცნიერი კი თვლიდა, რომ ცივილიზაციას მომთაბარე ტომების შემოსევამ მოულო ბოლო. ახლა კი კრიმატოლოგებმა ჩრდილოეთ ირანში მდებარე გამოქვაბული გოდ-ი-ზარადი და მასში არსებული სტრატიტიტები შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ გვარვამ და მტვრის ქარბუქებმა შუმერებს წყლის ყველა მარაგი გაუნადგურეს.

“დიდი ხანია არსებობდა ვარაუდი, რომ იმ პერიოდში კრიმატური კატასტროფა მოხდა, რომელმაც ერთდროულად გაანადგურა არა მხოლოდ შუმერული, არამედ ძველი ინდური და ეგვიპტური ცივილიზაციები.” – განმარტა ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერმა სტეისი ქეროლინმა.

დაახლოებით 4,26 ათასი წლის წინ სტრატიტიტების ზრდა მკვეთრად შენედა, რაც ნარექის ღონის უეცარ შემცირებაზე მეტყველებს. გვარვამ 300 წერზე მეტ ხანს გასტანა. ამასთან, სტრატიტიტების ქიმიური შემადგენლობა იმ რეგიონში ხშირად მძვინვარე მტვრის ქარბუქებზე მიგვითითებს.

შუმერულმა ცივილიზაციამ 4200 წლის წინ უეცრად შეწყვიტა არსებობა. მეცნიერები დღემდე სწავლობენ შუმერების წარმომავლობას და მათი ენის ნათესავურ კავშირებს. ეს საკითხი დიდ ისტორიულ პრობლემას წარმოადგენს.